



საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის  
სამინისტრო  
**MINISTRY OF ENVIRONMENT AND NATURAL RESOURCES PROTECTION OF  
GEORGIA**



KA060119888354316

საქართველო, 0114 თბილისი, გ.გულუას ქ. N6; ტელ:2727200, 2727220, ფაქსი:2727237; www.moe.gov.ge  
6 G. Gulua Str. 0114, Tbilisi, Georgia, Tel:(+995 32) 2727200, 2727220, Fax:2727237; www.moe.gov.ge

# 6235

04 / აგვისტო / 2016 წ.

ა/ო „მწვანე ალტერნატივა“-ს  
ბიომრავალფეროვნების პროგრამის  
კოორდინატორს ბატონ ირაკლი მაჭარაშვილს

ბატონო ირაკლი,

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში მიმდინარე წლის 22 ივლისს შემოსული #04/02-220 თქვენი წერილის პასუხად გიგზავნით სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ მოწოდებულ ინფორმაციას. კერძოდ, 2012 წლის 28 მარტიდან 2016 წლის 26 ივლისის ჩათვლით, სააგენტოში მოქალაქეთა მიერ შემოტანილი განცხადებების ასლებს დაცული ტერიტორიების გაფართოების, ახალის შექმნის, შემცირების, გაუქმების, შეცვლისა და საზღვრების კორექტირების შესახებ.

ასევე გაცნობებთ, რომ 2003 წლიდან 2012 წლის 29 მარტამდე არსებული ინფორმაცია სააგენტოს შესახებ, (მათ შორის თქვენს მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია) გადაეცა სააგენტოს არქივს, რომლის დამუშავება უნდა მოხდეს სახელმწიფო არქივის წარმომადგენლების მიერ, რაც მისი დიდი მოცულობიდან გამომდინარე საჭიროებს გარკვეულ პერიოდს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გიგზავნით სააგენტოში არსებულ ინფორმაციას, ხოლო სააგენტოს არქივის, სახელმწიფო არქივის მიერ დამუშავების შემთხვევაში, დამატებით წარმოგიდგენთ მოთხოვნილ დოკუმენტაციას.

დანართი 612 გვერდი.

პატივისცემით,

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი (საჯარო ინფორმაციის გაცემაზე

ეკატერინე ბენდელიანი

პასუხისმგებელი პირი)